



# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი \* გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

27 მარტი

საუბრაო

2025 წელი

№13(9379)

ფასი 40 თეთრი

## გაქურდიანე ზამთრის საკურორტო სეზონის შემაჯავებელი შეხვედრა გაიმართა



სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, ბაკურიანი ზამთრის საკურორტო სეზონის შემაჯავებელი შეხვედრა გამართა, რომელსაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის, „ენერგო პრო ჯორჯიას“, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს და ბიატლონის ფედერაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გასული სეზონი განსაკუთრებული და გამორჩეული იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის - ბაკურიანში და ამასთანავე, ქვეყნის მასშტაბით, პირველად გაიმართა ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ჩატარებულმა ღონისძიებამ ოლიმპიური კომიტეტისგან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

კურორტისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია, ოლიმპიური ფესტივალისთვის, სახელმწიფოს მიერ მონაცემები სპორტული და საჯარო ინფრასტრუქტურა, რაც მომავალში კიდევ უფრო გაზრდის ბაკურიანით დაინტერესებასა და ვიზიტორთა რაოდენობას.

ბესიკ ამირანაშვილმა წარმატებული სეზონის ჩატარებისათვის მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს და ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ფესტივალის ჩატარებაში განსაკუთრებული წვლილისთვის, პრემიერისგან, მადლობის სიტყვები გადასცა.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ რწმუნებულის მოადგილე დავით ვარდიშვილი, აპარატის უფროსი გიორგი მიქელაძე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

„ბაკურიანი 2025“-ის ფესტივალზე, 45 ქვეყნის 2 ათასამდე სპორტსმენმა იასპარეზა სპორტის 8 დისციპლინაში: სამთო სათხილამურო სპორტი, ბიატლონი, თხილამურებით რბოლა, ფრისტილი, სნოუბორდი, ყინულის ჰოკეი, ფიგურული ციგურაობა და ციგურებით რბოლა.

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - მოქმედებაში



ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები აქტიურ ფაზაშია.

დაბა ბაკურიანში, დიდ და პატარა მიწარბში, თორში და ანდუზიში გამართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ტაბატაძე, დაბა ბაკურიანში მერის წარმომადგენელი ქეთევან ლონდარიძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თვითმართვლობის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთად სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე იმსჯელეს.



წალვერში, მზეთამზეში, ტიმოთესუბანში და დაბაში გაართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ტაბატაძე, საკრებულოს დეპუტატი ნალვერში, კახა თედიაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თვითმართვლობის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთად სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

## 21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა! საქართველო ჩვენი საშობლოა!

წლებია, ქართველი ჟურნალისტები ერთმანეთს ვეჯიბრებით ერთმანეთის ჩაგვრაში და ერთმანეთზე გავლენის მოპოვებაში.

არადა, ჟურნალისტიკა ზნეობისა და მორალის ქვაკუთხედი.

ჟურნალისტიკა სინდისია, რომელიც ხშირად ქაღალდზე დანერგილი სახით გვხვდება და ხშირად - ტელე-რადიოეთერის საშუალებით გვახსენებს თავს.

ჟურნალისტიკა ილია ქა-ვჭავჭავის პუბლიცისტიკისა და ნიკო ნიკოლაძის რჩევათა ჭი-დილია.

ჟურნალისტიკა ის სიფრთხილეა, როდესაც სკანდალისა და ე.წ. ექსკლუზივის გამო საკუთარი ქვეყნის ჯარისკაცების ადგილმდებარეობას არ ასახელებ პირდაპირ ეთერში და სახელმწიფოებრივად აზროვნებას გაჩვენებს ადამიანს.

ჟურნალისტიკა ის ერთადერთი სიმაღლეა, რომელიც ფაქტსაც ასახავს, საკუთარ პოზიციასაც გაფიქსირებინებს და არც კაცს ჰკლავს!

ყოველ შემთხვევაში, მე ასეთად წარმომიდგენია.

წლებია, ჟურნალისტიკის სტატუსი ცილისწამებასთან, დაუმსახურებელ შეურაცხყოფასთან და ცინიზმთან ასოცირდება ბევრისთვის.

ჟურნალისტიკა ის პროფესიაა, როდესაც კოლეგას თამამად ულოცავ დაბადების დღეს და იმის შიში არ გეუფლება, ვინმე რომ გამოგდება და მორალს წაგიკითხავს, დაგჩაგრავს, აბურჩად აგაგდებს და საჯიჯგნად გადაუგდებს შენს თავს მავანთ.

ჟურნალისტიკა ის პროფესიაა, რომელიც ბარიკადებზე ერთ მხარეს გამყოფებს თუნდაც აზრობრივად და იდეოლოგიურად დაპირისპირებულ საკუთარ კოლეგასთან და ქვეის სროლას არ ინეგებ.

მეტიც: შესაძლოა, საკუთარი კოლეგისთვის ნასროლ ტყვიასაც კი თამამად და სიამაყით გადაეფარო! ეს არის ჟურნალისტიკა!



ჟურნალისტიკა ერთი დიდი პროფესიული ოჯახია და შემცდარნიცა და შეუმცდარნიც საქვეყნო საქმის მსახურებას ცდილობენ...

ჟურნალისტიკაზე და ჟურნალისტებზე ვსაუბრობ ამ შემთხვევაში და არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის აქტივისტთა ჯგუფზე ან ფინანსურად ანგაჟირებულ და ანგარებით გამაძლარ სუბიექტებზე...

ჟურნალისტობა, წლებია უკვე, პროფესიად აღარ მოიაზრება ჩვენში და ჟურნალისტები მარტოდენ რომელიმე პოლიტიკური ძალის გამაძლარებად აქციეს ჩვენში პოლიტიკოსებმა თუ პოლიტიკანებმა.

სამწუხაროდ, ჟურნალისტიკა ე.წ. პიარმა ჩაანაცვლა და მეტიც - თუ ვინმეს მიკროფონი უჭირავს ხელში და სოციალურ ქსელში ორ სიტყვას აბამს ერთმანეთზე, ჟურნალისტად მოაქვს თავი.

არადა, ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა - პასუხისმგებლობაა!

პასუხისმგებლობა მკითხველის, მაყურებლის, მსმენელის წინაშე და პასუხისმგებლობა - საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ.

ესეც ჩაივლის.

ესეც გაივლის.

ისევ იქცევა ჟურნალისტიკა საამაყო პროფესიად და ისევ დაიბრუნებს ღირსებას ქართული ჟურნალისტიკა! გულწრფელად მჯერა ამის.

და ვისაც ჩემსავით აქვს რწმენა პროფესიული ღირსების დაბრუნებისა, - საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სახელით, ჟურნალისტური სიამაყის განცდით ვულოცავ 21 მარტს - ქართული ჟურნალისტიკის დღეს! ზნეობის სადარაჯოზე ვმდგარიყავით მუდამ და გვახსოვდეს - საქართველო ჩვენი სამშობლო!

გიორგი მამასაშვილი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე

## 3 უ ლ ო ს ა ვ თ !

23 მარტს, თბილისში, „დინამო არენაზე“ საქართველოსა და სომხეთის საფეხბურთო ნაკრებები მეორეჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს - საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს გამანადგურებელი ანგარიშით 6:1 სძლია.

ერევანში, 20 მარტს გამართული შეხვედრა ჩვენი გუნდის გამარჯვებით 3:0 დამთავრდა. ვილი სანიოლის გუნდმა ორი მატჩის ჯამში 9:1 დაამარცხა მეტოქე.

„დინამო არენაზე“ გოლები გაიტანეს: ოთარ კიტეიშვილმა, გიორგი მიქაუტაძემ (2 გოლი), გიორგი ჩაკვეტაძემ, ზვიჩა კვარაცხელიამ.

77-ე წუთზე, ბორჯომელმა გიორგი ზარიამ შეცვალა ოთარ კიტეიშვილი. სასიხარულოა, რომ გიორგიმ საქართველოს ნაკრებში სადებიუტო მატჩი მასანიშნავად ჩაატარა.



გილოცავთ!

საქართველო

სომხეთი

6:1

საქართველო

სომხეთი

## გამოიშა "ბაკურიანი 2025" საკოლექციო მონეტა

ეროვნულმა ბანკმა, ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში, „ბაკურიანი 2025“ თემაზე 5 ლარის ნომინალის 5 000 საკოლექციო მონეტა დაამზადა. პრეზენტაცია დღეს, ბაკურიანში გაიმართა. ინფორმაციას ეროვნული ბანკი ავრცელებს.

მათივე ცნობით, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ევროპის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის „ბაკურიანი 2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მამუკა ხაბარელი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ლერი ხაბელოვი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სპიროს კაპრალისი.

ეროვნული ბანკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, ნათია თურნავამ საკოლექციო დანიშნულების ვერცხლის მონეტები ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, სპიროს კაპრალისს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ლერი ხაბელოვს, 2010 წელს ოლიმპიურ თამაშებზე ტრაგიკულად გარდაცვლილი სპორტსმენის ნოდარ ქუმარიტაშვილის მამას და ტრამპლინიდან ხტომაში ვეტერანი სპორტსმენის, კობა ნაქაძის შვილს გადასცა.

ნათია თურნავას თქმით, ეროვნულ ბანკს, სხვა ბევრი ნამყვანი ცენტრალური ბანკის მსგავსად, საკოლექციო მიზნებისთვის მონეტების გამოშვების ექსკლუზიური უფლება აქვს და ტრადიციულად, მონეტები საქართველოსთვის მნიშვნელოვან თემატიკას ეძღვნება.

„ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიებაა და მოხარული ვარ, რომ 2025 წელს ფესტივალს ბაკურიანი მასპინძლობს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ზეიმი ჩვენი ზამთრის სპორტის ისტორიაში. ღონისძიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთსულოვნად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ახალი საკოლექციო მონეტის თემა „ბაკურიანი 2025“ ყოფილი-



ყო. ეროვნულ ბანკს საკოლექციო მონეტის გამოშვებით თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენის მასპინძელი ქვეყნის იმიჯის განმტკიცებაში.

ბედნიერი ვარ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა ეროვნული ბანკის სახელით წვლილი შეგვეტანა ისტორიულ მოვლენაში, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს, როგორც მსოფლიო დონის სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქვეყნის სპორტული ღონისძიებების მასპინძლობისთვის, - განაცხადა ნათია თურნავამ.

მონეტები პოლონეთის ზარაფხანაში 5,000-იანი ტირაჟით მოიჭრა. მონეტის ავერსზე, დათოვლილი მთის ფონზე გამოსახულია მოთხილამურე და ნომინალის დასახელება „5 ლარი“ (ფერადი დეტალები). კიდევ რკალისებურად დატანილია მოვლენის აღმნიშვნელი წარწერები „ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი“ და „ბაკურიანი 2025“, რომელიც ერთმანეთისგან ფიფქებითაა გამოყოფილი.

მონეტის რევერსზე გამოსახულია ფესტივალის ლოგო (ფერადი დეტალი) დათოვლილი მთის ფონზე და წარწერა „საქართველო“, „გიორგია“.

მონეტების რეალიზაციის დაწყების ზუსტი თარიღი და პირობები ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა და ფულის მუზეუმის პლატფორმაზე გამოქვეყნდება.

„აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს სპორტულ თემატიკაზე აქამდე სხვა მონეტებიც აქვს გამოშვებული. მათ შორის, რაბოში, კალათბურთში, ფეხბურთში და ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენების წარმატებული ასპარეზობის აღსანიშნავი, - აღნიშნულია ინფორმაციაში.



# საქართველო გაივსო მოღალატეებით

ამ თემაზე საუბარი მეუხერხულემა, მაგრამ რასაც პრესაში ვკითხულობ, რასაც ტელევიზიების არხებს ვუყურებ, რაც განათლებული ადამიანებისგან მესმის, იძულებული ვარ ჩემებული დასკვნა გამოვიტანო იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც თავს იწონებენ და ენაშუიზობენ თავიანთ გამოსვლებში და ქვას ქვაზე არ ტოვებენ ქართველი ხალხის, მისი ინტელიგენციის, მართლმადიდებლური ეკლესიის სანინალ-მდეო აზრების გასასაჯაროებლად.

ეს სამარცხვინო ტენდენცია არც ახალია და მის შემდეგ დაინერგა საზოგადოებაში, რაც საქართველომ დამოუკიდებელი არჩევნები ჩაატარა და ვისაც დღევანდელი ხელი-სუფლები „თბილისი სკამი“ და თანამდებობა „არ შეხვდა“, მას შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე ათენ-ალამებენ და აქციას აქციაზე ატარებენ, ხან ჩატარებული არჩევნები არ მოსწონთ, ხან პარლამენტის ყველა მიღებულ კანონს იწუნებენ, რატომღაც ყველა კანონი მათთვის „რუსულია“, ხან მზე ჩრდილოეთიდან ამოდის, ხან ევროპარლამენტში ხელმოწერილი „ფირმანები“ ჩააქვთ, ხან აქ, სამშობლოში ებატიყვებიან ყოვლად გახრწნილ და გადაგვარებულ ევრო-პარლამენტარებს (მაგალითად, ჰომოსექსუალისტს და ორ-ჯერ გათხოვილ მიხეილ როთს და მის რწევას იზიარებენ, როგორ დაანგრეონ საკუთარი სამშობლო), ხან სკოლის უფროსკლასელებს და სტუდენტებს სპეციალურად შექმნილ სასწავლო ცენტრებში ასწავლიან „მოლოტოვის კოქტილის“ დამზადებას, ქვეებისა და მძიმე საგნების სროლას, საკუთარი სამშობლოს ცეცხლში გახვევას, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას და ყოველივე ამას „მშვიდობიანი აქციები“ ებოძება.

მიკვირს, ძალიან მიკვირს, როგორ გაუძლო ასეთ შემოტევებს დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომელმაც წინასწარ გათვალა ქვეყნის გადარჩენის სტრატეგია და რაც ჩაიფიქრა და რაც დღემდე განახორციელა, მხოლოდ ქვეყნის აღმშენებლობას ესადაგება.

გახსოვთ ალბათ, როგორი ძალისხმევა დასჭირდა ხელი-სუფლებას, „ომის პარტიის“ წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორ უნდოდათ საქართველო უკრაინის ომში ჩართულიყო, უარის გამო მართო უკრაინა კი არა, ევროპარლამენტი დაიარაღმა საქართველოს წინააღმდეგ, სანქციები დაადეს საქართველოს მთელ რიგ ხელმძღვანელ მუშაკებს, რადიკალური ოპოზიცია ძალადობრივი მეთოდებით ცდილობდა ლეგიტიმური გზით არჩეული ხელისუფლების დამხობას, რომლებსაც ევროპელი ჩინოვნიკები აქეზებდნენ. ჩვენ, ერთგულ მეგობრად აღიარებული ბალტიისპირელი რესპუბლიკებიც მტრად მოგვევლინენ. არადა, ჯობდა, ჯერ საკუთარ ქვეყანაში მიეხედათ დემოკრატიული პროცესებისთვის და მერე ესწავლებიათ ჭკუა ჩვენთვის. (სამივე რესპუბლიკა მოსახლეობისგან დაცლილია).

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, რადიკალური ოპოზიციის მიერ მოწყობილმა დაუმთავრებელმა მასობრივმა აქციებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა და ვერც მოიტანდა, რადგან ეს პროცესები პროვოცირებული იყო საზღვარგარეთული „მეგობრებისგან“, რაც მთავარია ბრალდებები სიცრუეზე იყო აგებული, ნათქვამია - „ხალხი

ბრძენიაო“ და აქციის მონაწილეების უმარავლესობამ კარგად დაინახა ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული კურსი, რომ თანხვედრამია ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიერ გაჟღერებულ წინადადებებსა და მოთხოვნებთან და მილიანად ესადაგება, ჯერ კიდევ სამი წლის წინ, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

როგორც კი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილმა განაცხადა, ჩვენ სახელმწიფოში შემოგვაქვს გამჭირვალეობის ამერიკული კანონი „ფარა“, ხოლო მედიის ახალ კანონად, ინგლისში მოქმედი კანონი, რადიკალურ ოპოზიციას ხასიათი წაუხდა, რადგან ორივე კანონი საქართველოს პარლამენტის მიღებულ კანონებზე მკაცრია.

რაც შეეხება დასავლეთის სანქციებს საქართველოს წინააღმდეგ, მხოლოდ სინანულს იწვევს მისი ყოვლად დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო, არაობიექტური გადაწყვეტილებები სერიოზულ ჩრდილს აყენებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, ხოლო პერმანენტული აქციებით ყველამ დაინახა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომ საქართველო მაღალი რადიკალური კულტურის და დემოკრატიის ქვეყანაა, რომელსაც სუვერენული სახელმწიფოს შექმნის მტკიცე საფუძველი აქვს.

სანუშხარაო, რომ თითქმის იგივე მეორდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართაც. არადა, ქართული ეკლესია ჩვენი იდენტობის, ქართული კულტურის, რწმენისა და სამშობლოს გადამრჩენელია.

გვერდს ვერ ავუვლი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. მსოფლიოში სერიოზული ცვლილებები ხდება და ახალი ნესრებიც მყარდება. დასავლეთის ლიბერალური ძალები, რომლებიც ოჯახური ფასეულობებისა და ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ის საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც პატარა ქვეყნების ოპოზიციას და არასამთავრობო ორგანიზაციებს დემოკრატიის განვითარების ნაცვლად, რეგოლუციურ პროცესებს უფინანსებდნენ, ამერიკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, ყველა დახურა. ახლო მომავალში, ალბათ, იმ სანქციებსაც მოგვისწინან და თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოსაც ავაძენებთ, მთავარია, ერის გაერთიანება-გამთვლიანების პროცესი გავაგრძელოთ. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისათვის უმთავრესია სტაბილურობა, ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება, ეკონომიური განვითარება და ყველა ქვეყანასთან ორმხრივი თანასწორუფლებიანი ურთიერთობა.

ამ მეტად მასშტაბური პროგრამების განხორციელებაში უდიდეს ძალას წამოადგენს ახალგაზრდობა, სწორედაც მათ უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა იმ პროგრამების რეალიზაციაში, რისთვისაც დღევანდელი ხელისუფლება იბრძვის. სხვა გზა, სხვა მიზანი არ არსებობს, ქვეყნის მინაურ და გარემო მტრებს ჩვენი ერთგული შრომით და მოქმედებით უნდა დავეუბტიკოთ ქვეყნის აღმშენებლობის პროგრამის განხორციელების ჭეშმარიტება. რაც შეეხება რადიკალურ



ოპოზიციას, ერთ ქართულ ანდაზას შევასხენებ, - „ხემ თქვა: ნაჯახი ვერაფერს დამაკლბდა, ხის ტარი რომ არ ჰქონოდაო!“. იქნებ, აქედან მაინც გამოვიტანოთ საფუძვლიანი დასკვნები. მშობლიური ქვეყნის მტრობა არავის სიკეთეს არ მოუტანს და ნურც თქვენ ელოდებით სიკეთეს, ოპოზიციონერებო! ხალხი კარგად ხედავს, ვინ სინდის-ნამუსიანად შრომობს ქვეყნის გადასარჩენად და ვინ ღალატობს საკუთარ სამშობლოს.

მას შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა, საქართველოში მშვიდობამ დაისადგურა, ეს კი უმთავრესი მონაპოვარია. ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრ ევროპულ ქვეყანასაც გავუსწარით, ექვსი მილიარდის ინვესტიცია ქვეყანაში არასდროს შემოსულა, ტურიზმიც საგრძნობლად განვითარდა, მსოფლიოს ბაზარზე მტკიცედ დამიკვიდრა კუთვნილი ადგილი ქართულმა ლეიბო, მინერალურმა წყალმა „ბორჯომმა“, სხვადასხვა წიაღისეულმა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებმა. წარმატებულად ვითარდება საქართველოში „შუა დერეფნის“ პროექტი, სულ მალე დაიწყება ანაკლიის ღრმანყოფიანი პორტის მშენებლობა, აზერბაიჯან-საქართველოს ერთობლივი პროექტები, რომლებიც ევროპის ქვეყნებთან დააკავშირებს და სხვა.

მიკვირს, ნუთუ შენი ქვეყნის წინსვლა და განვითარება არ უნდა გიხაროდეს? მაგრამ როგორც ჩანს, სულგაყიდული ოპოზიციის წამომომადგენლებს მაინც თვალთ ქვეყნის დესტაბილიზაციისკენ და დამლისკენ აქვთ მიპყრობილი. ვერა და ვერ გააცნობიერეს, რომ საქართველო მათი სამშობლოც არის.

პარლამენტში ადგილი ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ მოიპოვა, დღემდე ოთხივე საკანონმდებლო ორგანოში შესვლაზე უარს ამბობს. მიზეზი იმდენად უსაფუძვლო და აბსურდულია, სათქმელადაც არ ღირს. კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მახსენდება: „როცა ხალხს ამდენი მოლაღატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.“, მაგრამ დაიმასხოვეთ, მართალია საქართველო ტა-ატიო, ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს, თითქმის ყველა სფეროში წინსვლა იგრძნობა და ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ამ სიკეთეს ვერ ხედავდეს.

მოლაღატეების გასაგონად კი ვიტყვი, ძალიან არ მინდა თქვენი გვარ-სახელი საქართველოს ისტორიაში საძრახისი საქმეების გამო შავი ასოებით ჩაიწეროს.

პალეჩიან ლომიძე.

## ათასად კახი დაფასდა, ათიათასად – ზრდილობა

„ბილწსიტყვაობა (გინება, წყევლა) არ არის ჩვევა, ეს არის ადამიანის შინაგანი, სულისმომცემი მდგომარეობა და უზნეო გამოხატულება. ბილწსიტყვაობა არც პატრიოტიზმია, არამედ სისუსტის, სულმოკლეობისა და უკულტურობის გამოვლენა“. ქართველებს გვაქვს ერთი ძალიან კარგი გამოთქვაში - „კოკასა ში-გან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების...“

ზოგი თავს იმართლებს, გაბრაზებულ გულზე ვამბობ უშვერი სიტყვებსო, არადა, ყოველდღიურ ლექსიკონში წესად რომ აქვთ სალანძღავ და საგინებელ სიტყვათა კორინტელი, ნეტავ, მაგას რა ჰქვია?! ეჰ! ბევრმა ნამდვილად არ იცის ცენზურის მნიშვნელობა და რაც პირზე მოადგებათ, იმას რო-მავენ, რაც სამინლად გამაღიზიანებელია!

თავისუფლება, პირველ რიგში, ზრდილობაა, ურთიერთპატივისცემა ადამიანებს შორის და არა სალანძღავ-გინება, „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“ - ეს თავისუფალი საზოგადოების დევიზია!

შეიძლება ადამიანი განსწავლულიც იყოს, ყოველმხრივ კარგი თვისებებით შემოვლილი, მაგრამ სამეცნიერო აპარატი თუ არ უფარგა და სალაპარაკო ლექსიკაში სალანძღავ სიტყვებს თამამად და მოურიდებლად იყენებს, ასეთი ადამიანი ჩემს თვალში ფასს კარგავს... შესაბამისად მისი განსწავლულობაც.

სამწუხარო რეალობაა დღეს! ახალგაზრდებს თავისუფლების კოორდინატები ვერაგულად შეუცვალეს. თავისუფლება - ეს ხომ სწორი აზროვნებაა, ქცევაა, დამოკიდებულება მოსაუბრესთან. როცა მოიცხვად, მორჩილებით „განაიარალებ“ მოძალადეს, განაიარალებ შენი რწმენით და ზრდილობით - მაშინ ხარ გამარჯვებული.

დღეს ცენზურას ადგილი არა აქვს არსად! არც ტელევიზიაში, არც პრესაში!

სამწუხაროდ, ზოგიერთებს ბილწსიტყვაობა და უხეში ქცევა თავისუფლება ჰგონია. ადამიანურ სახეს კარგავენ და ასეთი ქცევით, საკუთარ ცუდკაცობასა და გაუზრდელობას ამტკიცებენ!...

სამწუხაროდ, დღეს ქალებმა გაასწრეს მამაკაცებს... შეიგნეთ, რომ თავისუფლება თავის დაუფლებაა. თავისუფალნი მაშინ ხარ, როცა თავის კონტროლი შეგიძლია და ყველაფრის უფლებას არ აძლევ საკუთარ თავს!...

პიროვნების თავისუფლების ფორმა აზროვნების თავისუფლებაა. სიტყვის თავისუფლებაც აზროვნების თავისუფლებაა მოიხზების და სხვას არაფერს. სახელმწიფოს თავისუფლება კი მისი დამოუკიდებლობაა.

არ სჭირდება თავისუფლებას მტკიცებითი ფორმა! თავისთავად, მტკიცებითი ფორმა როცა სჭირდება, ხშირ შემთხვევაში ყველაზე არათავისუფლება და კომპლექსებია.

როგორ მომხრის ეს სიტყვები „სიმორცხვე ადამიანის ჩვეულებრივი და ძალიან კარგი თვისებაა“. ჰო! ადამიანის საუკეთესო და აუცილებელი თვისება: სიმორცხვე - მაღალ-მოდ რომ დაგედება სულზე, აი, ისეთი სიტყვებითა.

როცა სტუდენტი ვიყავი, ჩემი თანაკურსელი, მეტროში,

ესკალატორის კიბეებზე ჯდებოდა. ეგონა, ამით თავისუფლებასა და „მაგარ ტიპობას“ გამოხატავდა. მერე მიხვდა, რომ ეს, უბრალოდ უზრდელობა იყო და აღარ გაუკეთებია.

თუ თავისუფლებაა რაიმე ფორმით გამოხატვა ჭირდება, ვერ ჰქონია თავისუფლებას კარგად საქმე და ეგაა! თავისუფალ ადამიანს უდავოდ აქვს (თავის)უფლება (უმისამართო) ბილწსიტყვაობისა, სექსზე ხანგრძლივი საუბრისა და... არ ცხვებო-დეს თავისი უმსგავსო საქციელისა - ამის თავისუფლება აქვს ნებისმიერს, ოღონდ!!! სხვა თავისუფალ ადამიანს, (თავის)უფლება აქვს ასეთი საქციელის შემდეგ არაფერად არ ჩაგადოს. უბრალოდ, გიყუროს, როგორც ცარიელ ადგილს.

და კიდევ... - შენი თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება. ანუ... ღმერთმა თავისუფლება მოგცა, მაგრამ ამასთან მოგცა სინდისი, ზნეობა და ზღვარი. თავისუფლება არის საკუთარი თავისა და სურვილების ფლობა და არა პირიქით. თავისუფლება საკუთარი

სურვილების დაუმორჩილებლობაა. საკუთარ თავსაც ხომ სწორედ მაშინ ფლობ ბოლომდე. ის ზნეობის დაცვით, ინტელექტით ქმედებას ნიშნავს, რაც ეს თაობაში დღევანდელი დემოკრატია ამათვის სხვისი უფლებების იგნორირებაში გამოხატული!! მორალს დაიკარგა!!!

ბავშვებს ასწავლით თავისუფლების არსი და მიზანი ოჯახებში! სკოლებში! ეს აუცილებელია!

ეთიკა გადაყირავებულია საქართველოში, რადგან: საჯაროდ მხოლოდ ხელმოცარული ადამიანები იგნორირებ! სექსზე მხოლოდ დაუქაფიფლებელი ინდივიდები ლაპარაკობენ! და უსიროცხვილო მხოლოდ ცხოველები არიან!

და ეს ჩამონათვლით თუ საქართველოს თავისუფლების სტანდარტია, „გაგანათ“ ღმერთმა!

„გიჟი თავისუფალიაო“, ერთ-ერთი ქართული ბრძნული გამოხატულებაა გვაქვს.

გიჟი და თავისუფალი ხშირად ერევათ ერთმანეთში. გიჟი არ აქვს ქცევები საზღვრები. ჩვენს საზოგადოებაში კი თავისუფლება ასოცირდება უზნეობასთან, უზრდელობასთან, თავხედობასთან, ბილწსიტყვაობასთან, სექსუალურ გაუკულ-მართებასთან, უფროსების უპატივცემულობასთან, უფლისგმობასთან, მანდილოსნებთან თავხედურ ურთიერთობასთან, სასულერო პირების დაცინვასთან და ა.შ.

ქრისტიანული ცხოვრების ოქროს წესი - არასოდეს დაუშვით წყევლა და ბილწსიტყვაობა თქვენი პირიდან. არავითარი უშვერი სიტყვა არ დაგცდეთ პირიდან, არამედ მხოლოდ კეთილის სათქმელად, რათა მადლი მიანიჭოს გამგონეთ. - (ეფესელთა 4:29). ეს ბიბლიური ციტატა ერთგვარ საზომად შეგიძლიათ აქციოთ, როდესაც ვინმეს ესაუბრებით ან სოციალურ ქსელში კომენტარს წერთ, შე-გძლიათ დაუსვით თქვენს თავს კითხვა: „ის, რასაც ვამბობ, ამენებას ემსახურება თუ არა? მადლს ანიჭებს თუ არა მსმენელს?“

პასუხს მარტივად იპოვით, თუ იმ ადამიანის ადგილზე წარმოიდგენთ თავს.

ყოველთვის, როდესაც ადამიანის მიმართ ბილწსიტყ-



ვაობას მიმართავენ, ეს მის დასამცირებლად და შეურაცხყოფისათვის არის განკუთვნილი, რაც ვერასდროს იქნება ქრისტიანული ეთიკისთვის მისაღები საქციელი, ამიტომ, როდესაც განირისებულნი ვართ, სანამ რაიმეს ვიტყვით, უნდა გავისეხ-ნოთ, რომ ამ ადამიანს გამო, რომელიც ჩვენ წინ დგას, უფალი იესო ქრისტეს ძვირფასი სისხლი დაიღვარა.

ბილწსიტყვაობა არ უღერს კარგად, არა!

დედის მაგინებელ ბიჭებზე შესანიშნავი ლექსი აქვს დანერი-ლი ეროვნული სულისკვეთებით გაფლანკებული პოეტს - ნოდარ ჯალალისას. ლექსს სათაურად „მეგინებული დედები“ დაარ-ქვა. მას, ლექსში ასეთი სტრიქონები აქვს:

„რა გულით, ანდა რა ენით ამბობთ სიბილწეს, საოცარს, ბიჭებო! როგორ იმეგებთ დედას - ხატსა და სალოცავს, მარილს რად აყრიოთ სამშობლოს, ისედაც გახსნილ ჭრილობას, კარგი დედ-მამის შვილებო, რად გინდათ ბოზის შვილობა. ფუძის ანგელოზს რად აფრთხობთ და ეშმაკს რატომ აბუდებთ, ცოცხლად რატომ კლავთ თქვენს დედებს და სულში რატომ აფურთხებთ.“

ეს არის დიდი სირცხვილი სოფლაზეცა და სილაჩრეც, როდესაც კაცი ამგვარ ფიქრს ენას და სიტყვას მიაჩვენს.

დედაზე უფრო ძვირფასი ვინა გყავთ, რა გაბადნათ? დედა - ქართველი ვაჟკაცის სალოცავი და ხატია! თორემ რა სახელს მოიხვეჭთ, საკუთარ დედის გინებით, როდესაც დედა სამშობლოს სული უჭირავს კბილებით!“

დედებს ნუ ვეცხებით, თავი შევიკავოთ! ჩვენს ქვეყანას მო-ვეფეროთ, შვილებო!

არ თქვათ, ახალგაზრდები არ გიყვარს და ამას იმიტომ წერო. როგორ არ მიყვარს, ჩემი შვილისა და დისშვილების მეგობრებთან ვმეგობრობ...

უბრალოდ, გული მტკივა, რომ ასეთი სამწიფელი დოზით არის დღეს დამკვიდრებული ის, რაზეც გწუხვარ, თორემ სა-მაგალითო ახალგაზრდებიც მრავლად გვყავს...

ჩემი დიდი თხოვნაა, - თბილი და ტკბილი სიტყვები დაენერ-გოთ. აუცილებელი არაა იყოს ეს ბილწსიტყვაობა, მერე ამას მართკ ჩვენ კი არ ვისმენთ ქუჩაში, არამედ მთელი საქართვე-ლო ხედავს და არამართო საქართველო. არ მინდა, მერე სხვანი ამბობდნენ, რა უზრდელო თაობა ჰყავს საქართველოსო.

და ბოლოს, ზურა მხეიძეს, რომელიც ექსპერტია ფსიქო-ლოგიის მიმართულებით 30-წლიანი სამუშაო პრაქტიკითა და 25-წლიანი ტრენინგების ჩატარებისა და კონსულტაციების გამოცდილებით, აქვს ასე კარგად გადმოცემული და ამით და-ვასრულებ:

- თავისუფლებასთან და თავისუფალ ქცევასთან დაკავშირე-ბით ითვლება, რომ მე თუ ეტიკეტს ვიცავ, არათავისუფალი ტიპი ვარ. ჩვენთან თავისუფლებას ცოტა სხვა ინდიკატორები აქვს, რომ გაჩვენოთ, რომ თავისუფალი ვარ, რამოდენიმე რაღაც უნდა გავაკეთო: უნდა შემეძლოს ბილწსიტყვაობა, არაფრის არ უნდა მოცხვენოდეს, უნდა შემეძლოს დიდხანს სექსზე საუბარი. ეს არის ინდიკატორები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვს თავისუფლებასთან. რომ აჩვენონ, რომ თავისუფლები არიან, ასე იქცევიან.

სიმორცხვე ადამიანის ჩვეულებრივი და ძალიან კარგი თვისე-ბაა. ჩემს ძალსაც რცხენია, რალაცას რომ დაამავევს ხოლმე.

არაფრის არ გრცხვენოდეს, უზრდელო იყო, მართო სექსზე ლაპარაკობდე და ილანძღობდე, როგორ ფიქრობ, ეს არის თავისუფლება?! შენ შეგიძლია ეტიკეტიც დაცვა, ზრდილობიანიც იყო და შენზე თავისუფალი არავინ იყოს. არ სჭირდება თავისუ-ფლებას მტკიცებითი ფორმა და დემონსტრირება, რომ თავისუ-ფალი ხარ.

მომამზადა ნანა კეკელიძე







## ჯილდოვა ნარდგენილანი

არასამთავრობო ორგანიზაციამ: „ნანა, მაშალი, სარეაქციონარი“ (თავმჯდომარე ვახუშტი ქიზიყაშვილი) სარეაქციონარი სახმომ. საქართველოს მასშტაბით გამოავლინა 2025 წლის ეპოქის ადამიანები. მათ შორის არიან:

მანანა ახმეტელი - მუსიკოსი;  
ლექსი ანთაძე - მსახიობი;  
ნანი ბრეშაძე - მომღერალი;  
ნონო გაფრინაშვილი - მოჭადრაკე,  
პარლამენტური - ფოტოკორესპონდენტი;  
ნუნო ლუკაშვილი - კომპოზიტორი;  
ივანე კახიანი - მსახიობი;  
მარიკა კვალიაშვილი - კომპოზიტორი;  
მარკა კოპრაშვილი - რეჟისორი;  
ლარი კვაქანიაშვილი - ჟურნალისტი;  
მანრი ლომიშვილი - მსახიობი;  
ვალიკიან ლომიძე - ჟურნალისტი;  
ვაჟა მამიაშვილი - მედიკოსი, ტექნოლოგი;  
ლიანა მარიაშვილი - ისტორიკოსი;

რეზო მიხეილაძე - მწერალი;  
გივი სიხარულიძე - მწერალი;  
როგოზი სხუაშვილი - რეჟისორი;  
ნანა ჟანაშვილი - მსახიობი;  
გურამ ქაშაყაშვილი - მეტალურგი;  
ვახუშტი ქიზიყაშვილი - მედიკოსი,  
ტექნოლოგი;  
თამაზ შილაშვილი - აკადემიკოსი,  
ინჟინერი;  
ივანე შანუაშვილი - რეჟისორი;  
ნიკოლოზ შანუაშვილი - ფინანსისტი;  
ვაჟა შილაშვილი - მათემატიკოსი;  
აბრამ ხარაშვილი - იურისტი;  
ჟურნალისტი ნანა ჭიჭინაძე

ეპოქის ადამიანებთან შეხვედრა გაიმართება დღევანდელს, 27 მარტს, 16:00 საათზე. მასში მონაწილეობენ მასშტაბით გამოავლინა 2025 წლის ეპოქის ადამიანები.

### ველოსპორტი

ლევანდომოსი, ჩვენი გაზეთის უზუცეს მკითხველს, სათნოე-ბითა და კეთილშობილებით აღსავსე ქალბატონს, მანანა ლომიშვილს-ლომიაშვილს, ამ დღეებში დაბადებიდან 93 წელი შეუსრულდა.

შესანიშნავი შეილების და შეილიშვილების აღზრდაში ღირ-სეული წვლილი აქვს შეტანილი და ახლა ისინი ზრუნავენ ღრმად მოხუცი დედის და ბებუის ჯანმრთელობისათვის. ეს ასევე უნდა იყოს, ხარობს მოხუცი შეილებითა და შეილიშვი-ლებით. ამჯერადაც დიდი ზეიმი იყო მისი დაბადების დღის აღსანიშნავად.

ქალბატონი მაყვალა ასაკს არ ეპუება, მხნედ გამოიყურება და მოუთმენლად ელის ჩვენი გაზეთის ახალ ნომერს, ხშირად სათვალის გარეშე კითხულობს.

ინტერესით ეცნობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალ ამბებს, კმაყოფილია სიახლეებით.

დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერების წლებს ვუსურვებთ მსოფლიო ქალბატონს. ეხაროს შთამომავლობის წარმატებებით. არ მოკლებოდეს ყურადღება და პატივისცემა.



### გაზეთი „ბორჯომის“ რედაქციის კოლეგიაში.

მარიკა კახიანი - ბორჯომის კოლო-რიტს, დიდებულ, დამსახურებულსა და ღვაწლმოსილ პედაგოგს, „მუსიკის მარი-ნას“, ვულოცავ უსაზღვრო სიყვარულით დაბადების დღეს!

მინდა დღეგრძელი იყოთ და უამრავი ნი-ჭიერი ბავშვი აღმოგჩინოთ, მუსიკოსად ალგეზად, შემდეგ კი გეხაროთ მათი წარმატებებით! თქვენ ხომ ასე სჭირდებო-რათხსა და ნიჭიერ ბავშვებს! ესაა თქვენი ბედნიერებაც სწორედ...

თქვენ ხართ თავგადაღებული, მშრო-მელი, დაუღალავი, მომთხოვნი და ამა-ვდროულად საოცრად თბილიც... არ მეგულება მეორე თქვენნაირი თავგანწირული პედაგოგი.

თქვენი შესაშური ზღვა ენერგია მინდა გადა-მეცხროს ყოველივეს სხვათათვის!!! იმდენად თქვენმა გამოხრდილმა ბავშვმა დამისაუბრა უამრავი სა-



პრიზო ადგილები სხვადასხვა რეს-პუბლიკურსა თუ საერთაშორისო კონკურსებში, რომ ყველგან გცნო-ბენ და გაფასებენ

ყოველთვის, როცა მუსიკალურ სკოლასთან გავივლი, სულ მინდა ის ხმა ჩამესმოდა, ასე ნაცნობი, მახლობელი და ძველბურთი - თქვე-ნი კლასიდან გამოსული ხმა - ხმა ჯადოსნური!!

მადლობა ჩემი შეილისთვის!!! თქ-ვენი საძირკვლისეულია მუსიკის გარეშე სიცოცხლე რომ ვერ წარ-მოუდგენია ჩემს ნინის და დღეს

კონსერვატორიას წარჩინებით რომ ამთავრებს... გვიყვარხართ, მარინა მასწავლებლო! ვერასოდეს გადავიხდით თქვენს ამბავს... გვიჩნდა, მუდამ ღიმი-ლიან-მზიანი იყოთ და ბედნიერების ვარსკვლავები ბრწყინებდნენ თქვენს ლამაზ სულში.!!

ნანა კახიანიშვილი

## ჩაინიგხალ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს

საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირი (თავმჯდომარე გელა გე-ლაშვილი) მუდამ გვერდში უდგას რკინიგზელებს და ყურადღებას არ აკლებს, რომ მათი პროფესიული საქმიანობა წარმატებით განვითარდეს. ტრადიციულად, ყოველი წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, პრო-ფკავშირი რკინიგზელ ქალბატონებს ფასიან საჩუქრებს უძღვრის და ეს ტრა-დიცია არც წელს დაღვრულა. რეგიონში, რკინიგზაზე სულ 207 ქალბატონია დასაქმებული, უმრავლესობა პროფკავშირის წევრია, რომელთა აბსოლუ-ტურმა უმრავლესობამ კმაყოფილება გამოხატა და მადლობა გადაუხადა პროფკავშირის ხელმძღვანელობას მათზე ზრუნვისთვის.

## გაუფრთხილდეთ ტყეს!

21 მარტი ტყის საერთაშორისო დღეა. შეგახსე-ნებთ 10 მნიშვნელოვან ფაქტს ტყის შესახებ

ტყე სიცოცხლის საფუძველია ტყეები დედამიწის ჟანგბადის 50%-ს გამოიმუ-შავენ და გვაძლევს სუფთა ჰაერს, რაც ადა-მიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ტყე იცავს წყალს

ტყის ეკოსისტემა ფილტრავს წყალს და ხელს უნ-ყოზს მდინარეებისა და წყალსაცავების სისუფთა-ვეს, რაც ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისთვის.

ტყე იცავს ნიადაგს

ტყის საფარი თავიდან გვარიდებს ნიადაგის ეროზიას და იცავს მიწას გაუდაზნოებისგან, რაც მომაკვდინებელია ცოცხალი არსებების უმეტესი ნაწილისთვის.

ტყე კლიმატის რეგულატორია

ტყეები შთანთქავენ ნახშირორჟანგს და ამცირე-ბენ კლიმატის ცვლილების გავლენას, რომელსაც შეუძლია სერიოზული ზიანი მოუტანოს დედა-მიწას.

ტყე ათასობით სახეობის სახლია

ტყეები მსოფლიოში მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმების 80%-ზე მეტს აძლევს ბუნებრივ თავშესაფარს.

ტყე ადგილობრივი თემების საარსებო წყაროა. ბევრი ადამიანი ტყეზეა დამოკიდებული საკე-ბით, მედიცინით და საცხოვრებლით.

ეკონომიკა და ტყე

ტყის მდგრადი მართვა ქმნის ეკოლოგიურად სუფთა ბიზნესებს და ახალ სამუშაო ადგილებს.

ეკოტურიზმის მნიშვნელობა

ეკოტურიზმის მნიშვნელობა ხელს უწყობს დაცუ-ლი ტერიტორიების ეკოტურიზმს და გარემოსდა-ცვით განათლებას.

ტყე ბუნებრივი ბარიერია

ტყეები იცავენ მიწას მცვერებისა და წყალდი-დობებისგან, ამცირებენ სტიქიური მოვლენების



ზეგავლენას.

ტყეების დაცვა ადამიანის ვალდებულებაა ტყის გაჩეხვა და არასწორი გამოყენება უსის-ტემო საფრთხეს უქმნის გარემოს. დაცული ტე-რიტორიები ხელს უწყობს ტყის შენარჩუნებასა და მდგრად განვითარებას.

გაუფრთხილდეთ ტყეს - ის ჩვენი მომავლის საფუძველია!

ტყეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სა-ხეობათა შემადგენლობით, ფორმით, ხნოვანებით, წარმოშობითა და სიხშირით. ტყე მცენარეუ-ლობის ერთ-ერთი ძირითადი ტიპია, რომელიც შედგება ხეების, ბუჩქების, ბალახოვანი და სხვა მცენარეების ერთობლიობისგან, მათთან ერთად ცხოველებისგან და მიკროორგანიზმებისგან.

ყოველწლიურად ადამიანები მილიონობით პე-ქტარ მიწას ითვისებენ, რაც ტყის საფარის მნიშვნელოვნად შემცირებას იწვევს. ნაღვურდება ეკოსისტემები, რის შედეგადაც სამუხაროდ სი-ცოცხლეს წყვეტს უამრავი ცოცხალი ორგანიზმი. ჩვენი ვალაია გაუფრთხილდეთ ტყეებს, ბუნებას და ვიცხოვროთ ეკოლოგიურად სუფთა გარე-მოში.

რუსუან სხიბაძე

## დასახურებული ალიარება

საქართველოს მამაკაცთა სახალხო დაჯილდოების ცერემონიალი - „ოქროს არწივი 2025“ - ის ფარგლებში, ბორჯო-მის მუნიციპალიტეტის მერის მრჩევე-ლი კულტურის დარგში და ანსამბლი „ბორჯომის“ ხელმძღვანელი, გიორგი ბუგინიშვილი დააჯილდოვეს ქართვე-ლი ხალხისა და ქართული სახელმწი-ფოს წინაშე მოვალეობის ღირსეულად შესრულებისთვის.

დაჯილდოებულთა შორის არიან მურმან ჯინორია, შალვა ამონაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ჯემალ ზა-ლაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ბიძინა მა-ხარაძე, გიორგი კანდელაკი და სხვები.



### მამაკაცთა კონკრეტული - ვინაა ყველაზე ლამაზი?

## მალე ჩვენს ფურცლებზე გავეხუხულებთ!

გაზეთი „ბორ-ჯომის“ 2025 წლის სამუშაო გეგმა ჩემს სამუშაო მაგიდაზე დამხვდა. ათეულო-ბით თემის სიმრავლე და აქტუალურობა ყველაზე თვალმისა-ცემი იყო, მაგრამ ჩემი ყურადღება განსაკუ-თრებით მიიპყრო 49-ე თემამ - „ვისი ეზოა ყველაზე ლამაზი?!“.



მაშინვე რამდენიმე მოსახლის ეზო გა-მახსენდა, რომელთა სახლის წინ ყოველ-თვის ფერად-ფერადი ყვავილები გვხვდება, გვიღიმებ, სიყვარულს გვჩუქნიან და თა-ვისებურად, თავმოწმონედ თავისკენ გვიხ-მოებენ. ყვავილების ნარგავებს დიდი სიყ-ვარულით ეფერებიან, როგორებიც თავად ყვავილებივით სათუთები, ღიმილიანები და ყველაზე თბილი განცდის მრექველნი არიან. ყვავილებზე თვალის მოკერაც კი გახსენებს, თუ რა ლამაზი ფერებია ამ სამ-ყაროში.

სულ მალე ასეთი სტატიებით ჩვენი გაზეთის ფურცლებსაც გავეხუხულებთ. ბევრ სითნოსა და ბედნიერ ფერებს ვაჩუ-ქებთ ჩვენს მკითხველს.

გაიცნობენ ბორჯომელებს მთელი მუ-ნიციპალიტეტის მასშტაბით, თუ როგორ ზრუნავენ ადგილობრივები, რომ მათი ეზო ყველაზე ლამაზი იყოს?! ამბობენ, ყვავილებს ადამიანის განწყობა ესმით, ნინასნარ გრძნობენ და თუ ჭკნობა დაინ-

ყეს, უბრალოდ ზრუნვის ხანგრძლივობა უნდა გაზარდოთ.

ჩვენ გეძებთ თქვენ! რათა გავიგოთ, ბორჯო-მის მუნიციპალიტეტში ვისი ეზოა ყველაზე ლა-მაზი. არ გაგიკვირდეთ, სადმე ულამაზეს ეზოს თუ დავინახავთ, გაზე-თი „ბორჯომის“ ჟურ-ნალისტები თქვენთან აღმოვჩნდეთ სასაუ-

ბროდ, თქვენზე დავწეროთ. ერთად გავა-ზაფხულოთ გაზეთის ფურცლები, ეზოში მოციმციმე ყვავილების დიდი სიყვარულით გულანთებულ მოქალაქეებზე მომზადებული რეპორტაჟებით მოგეფერებოთ.

ჩვენი მიზანი იქნება ყვავილნარებში ჩაფლულ სახლებსა და ეზოებში მიმოფან-ტული სურნელი თქვენამდეც მოვიტანოთ. ჩვენთან ერთად გამოგზაუროთ ფერთა ცო-ცხალ გამაში, და აქვე, ბორჯომში ენახოთ სამოთხედ ქცეული მიწის ჰექტრები.

თუ ჩვენამდე შენიშნეთ და თქვენი თვა-ლი მაშინვე მიიპყრო თვალწარმატცმა ყვეთელმა ყაყაჩოებმა ან ბარხატისფერმა ვარდებმა, განსხვავებული დიზაინით კე-თილმონწყობილმა ეზომ, უნდა დაგვირეკოთ და გვახაროთ, რესპონდენტების თანხმობის საკითხზე ჩვენ ვიზრუნებთ.

ჩვენ, თქვენს ზარებს მთელი გულით ვე-ლოდებით.

დაგვიკავშირდით: 22 29 65, 577 60 59 84.

ნინა ნანაშვილი

## მადლობა ჩემი გადარჩენისთვის

რამდენიმე დღის წინ, ყვიბისში მცხოვრები აფხაზეთის ომის ვეტე-რანის, ზურაბ ხაჩიძის შესახებ შევიტყვეთ, რომ ბატონმა ზურაბმა დეკემბერში ურთულესი ოპერაცია გაიკეთა. მას საკმაოდ რთული დაა-ვადება, პარკინსონი აღ-მოაჩნდა. განსაკუთრე-ბულად დამძიმდა მისი მდგომარეობა პანდემიის პერიოდში, როდესაც კოვიდი გადაიტანა. სამწუხა-როდ, ბატონი ზურაბის ოპერაცია საკ-მაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირე-ბული, თუმცა, საბედნიეროდ, ბატონი ზურაბის საოპერაციოდ საჭირო თანხა სრულად შეგროვდა კეთილი ადამია-ნების დახმარებით, მას ოპერაცია ჩაუტარდა და დღეს ბატონი ზურაბი სრულად დამოუკიდებლად გადაად-გილდება. იგი გვევლინა რედაქციაში და გვთხოვა, ჩვენი გაზეთის საშუალებით მადლობის გადახდა იმ ადამიანების-თვის, ვინც უშუალოდ შეიტანა წვლილი მის გადარჩენაში.



ზურა ხაჩიძე: - ვარ აფხაზეთის ომის მონაწილე, აფეთქების შედეგად თვალ-ში დიდი ნათება ვიგრძენი, თუმცა რამდენიმე დღეში გამიარა. მაშინ ვინც ჩემთან ერთად იმყოფებოდა, კანტუზია დაემართათ, მე მეგონა, გადავრჩი, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია, საკ-მაოდ რთულ ფორმამი დაეავადდი, აღარ მემორჩილებოდა კიდურები, მი-ჭირდა მეტყველება. საკუთარი ხელით

ვერც კი ვიკვებებოდი. ბოლო წლებ-ში კი, უკვე ფაქტურად, გაუსაძლი-სი იყო ჩემი ყოფა, მდგომარეობა საკმაოდ გამირთულდა. ამიტომაც, საჭირო იყო ოპერაციის გაკეთე-ბა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. 70 000 ლარს ვერანაირი გზებით ვერ ვიმოვიდი. თუმცა, ადამიანების დახმარებითა და გვერდში დგომით ოპერაცია ჩა-მიტარდა. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით უდიდესი მადლობა გადავუხადო ბორჯომის მუნიციპა-ლიტეტს, მერს ოთარ არბოლიშვილს, რომლის უშუალო დაფინანსებითაც, ჩემი ოპერაციისთვის გამოიყო 20 000 ლარი, ასევე პარტია „ქართული ოცნე-ბის“ ყვიბისის თემის წარმომადგენელს, გორა ბლიაძეს, რომლის თანადგომითაც მოხდა ჩემი დაფინანსება მუნიციპალი-ტეტისგან, მადლობა დაჭრილ მეომარ-თა ფონდს, საქართველოს ვეტერანთა სამსახურს და ჯანდაცვის სამსახურს.

სწორედ მათი ერთობლივი თანადაფი-ნანსებით ჩამიტარდა ოპერაცია და მე დღეს ჩვეულებრივი ცხოვრების რიტ-მს დაუბრუნდი. ჯერ კიდევ გავდივარ რეაბილიტაციას, რომელსაც მაისში დავასრულებ. ეს ყველაფერი იმასთან შედარებით არაფერია, რაც მანამდე გამოვიარე. ყველამ, ვინც კი თითო თეთრი გაიმეტა ჩემი ოპერაციისთვის, ამით სიცოცხლე შემინარჩუნეს. უფალ-მა დალოცოს და გაახაროს თითოეული მათგანი.

მოამზადა ნაზო მელიქიძე

4 აპრილს, 15 საათზე, თოჯინების სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართება პოეტ ივანე სარაქიანიის ლექსების კრებულის „საგზაოდ სიყვარული მამუ-შა“ პრეზენტაცია.

პოეზიის მოყვარულებს გინვეთ შეხვედრაზე

ბორჯომის საზოგადოებრივი გაერთიანება

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციაში მუშაობს გამოაქვეყნოს იმართი ნაწილია.

რედაქციაში

აპარატურის თვალსაზრისით თვითონ არ იმართება.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იხევეთ: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.

saari.ltd@gmail.com

borjomipress9@gmail.com

ნანა კახიანიშვილი

კორექტორი:

რედაქტორი: ვალერიან ლომიაძე